



საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბრძანება N01-79/ნ

17 ნოემბერი 2014 წ.

ქ. თბილისი

**„სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელთათვის პასპორტიზაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2013 წლის 4 აგვისტოს №01-33/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

**მუხლი 1**

„სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელთათვის პასპორტიზაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2013 წლის 4 აგვისტოს №01-33/ნ ბრძანებით ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge); 06/08/2013; 470230000.22.035.016216) დამტკიცებულ დანართი №1-ში (სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელთათვის პასპორტიზაციის წესი) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

**1. პირველი მუხლის:**

ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ამ წესის მიზნებისათვის პასპორტიზაციის პროცესი გულისხმობს სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელთა მიერ დაწესებულების პასპორტიზაციის მონაცემების საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) ოფიციალური ვებგვერდის ([www.moh.gov.ge](http://www.moh.gov.ge)) ელექტრონული ჯანდაცვის საინფორმაციო პორტალზე, პასპორტიზაციის მოდულში განთავსებას, სპეციალური ფორმებისა (დანართი 1.1 - „დაწესებულების საპასპორტო მონაცემები“ და დანართი 1.2 - „პერინატალური სერვისების მიმწოდებელი დაწესებულების საპასპორტო მონაცემები“) და ამ წესის შესაბამისად.“;

ბ) მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 2<sup>1</sup> პუნქტი:

„2<sup>1</sup>. დანართი 1.1-ს „დაწესებულების საპასპორტო მონაცემები“ წარმოადგენს და მას ავსებს სამედიცინო მომსახურების ყველა მიმწოდებელი. დანართი 1.2 „პერინატალური სერვისების მიმწოდებელი დაწესებულების საპასპორტო მონაცემები“ განეკუთვნება სპეციალურ ფორმას, რომელსაც დამატებით ავსებენ პერინატალური მომსახურების (ორსულთა, მშობიარეთა,

მელოგინეთა და ახალშობილთა სერვისები) მიმწოდებლები.“;

გ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ამ ბრძანებით გათვალისწინებული ფორმები განკუთვნება სამედიცინო დოკუმენტაციის (საადრიცხო-საანგარიშგებო) ფორმებს.“.

დ) მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. 1.1. და 1.2. დანართებით განსაზღვრული ფორმები არ არის მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტი.“.

2. მე-3 მუხლის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 3. „დაწესებულების საპასპორტო მონაცემები“-ს (დანართი 1.1) ფორმის შევსების ინსტრუქცია“.

3. დანართ N1-ს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 მუხლი:

„მუხლი 4. „პერინატალური სერვისების მიმწოდებელი დაწესებულების საპასპორტო მონაცემები“-ს (დანართი 1.2) ფორმის შევსების ინსტრუქცია

1. ფორმა განკუთვნილია მხოლოდ პერინატალური სერვისების მიმწოდებელი დაწესებულებებისთვის (ორსულთა, მშობიარეთა, მელოგინეთა და ახალშობილთა სერვისები). მისი შევსების დროს დაცული უნდა იყოს ამ მუხლით განსაზღვრული მოთხოვნები.

2. პერინატალური სერვისის მიმწოდებელი დაწესებულებები ვალდებული არიან, შეავსონ აღნიშნული დანართის ყველა ველი, მიუხედავად იმისა, იმეორებს თუ არა იგი დანართი 1.1-ით განსაზღვრულ ინფორმაციას.

3. „დაწესებულების საიდენტიფიკაციო ინფორმაციისა“ და „იურიდიული და ფაქტობრივი მისამართების“ ველები ივსება ამ წესის მე-3 მუხლის შესაბამისად.

4 „ინფრასტრუქტურის“ ბლოკში თანმიმდევრულად ივსება ყველა ის ველი, რომელიც პერინატალური სერვისის მიწოდებისთვის განკუთვნილი სპეციალური სათავსების განლაგებასა და საწოლების რაოდენობას ეხება. ამავე დროს:

ა) სამეანო და გინეკოლოგიური საწოლების რაოდენობა მიეთითება ციფრებით;

ბ) „ინდივიდუალური სამშობიარო ოთახის“ (ოჯახზე ორიენტირებული სამშობიარო ბლოკ-პალატა, რომელიც განკუთვნილია ერთი მშობიარისათვის) შესაბამის ველში ფიქსირდება ასეთი ოთახების არსებობა/არარსებობის ფაქტი „კი“ ან „არა“ პასუხის პრინციპით. „კი“ პასუხის შემთხვევაში, მომდევნო ველში, ციფრებით მიეთითება ოთახების რაოდენობა;

გ) საოპერაციო ბლოკის შესახებ ინფორმაციისთვის გათვალისწინებულია სამი ველი. იმ შემთხვევაში, თუ იგი არსებობს უშუალოდ სამეანო განყოფილებასთან და მხოლოდ სამეანო ოპერაციებისთვისაა განკუთვნილი, შესაბამის ველში ფიქსირდება სათანადო პასუხი („კი“=1); ასეთ შემთხვევაში „სამეანო-გინეკოლოგიური საოპერაციო ბლოკი“-სა და „მრავალპროფილურ სტაციონართან საზიარო საოპერაციო ბლოკი“-ს შესაბამისი ველები აღარ ივსება; უარყოფითი პასუხის შემთხვევაში კი ივსება მომდევნო ორი ველიდან ერთ-ერთი („სამეანო-გინეკოლოგიური საოპერაციო ბლოკი“-ს ან „მრავალპროფილურ სტაციონართან საზიარო საოპერაციო ბლოკი“-ს შესაბამისი ველები) იგივე პრინციპით;

დ) ახალშობილთა რეანიმაციული განყოფილება (NICU) მოიცავს კრიტიკული მოვლისა და შუალედური (ე.წ. ინტენსიური) მოვლის საწოლების შესახებ ინფორმაციას, რომელთა რაოდენობა მიეთითება ცალ-ცალკე, შესაბამის ველებში, ციფრებით;



ე) „ახალშობილთა სპეციალური მოვლის ოთახის“ შესახებ ინფორმაციისთვის განკუთვნილია 2 ველი: პირველში ფიქსირდება ასეთი ოთახის არსებობა/არარსებობის ფაქტი „კი“ ან „არა“ პასუხის პრინციპით; დადებითი პასუხის შემთხვევაში ივსება მომდევნო ველი, რომელშიც მიეთითება საწოლების რაოდენობა (ციფრებით) ახალშობილთა სპეციალური მოვლის ოთახში. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ 1 საწოლი = 1 ჟანგბადის წყარო ფლუმეტრით + 1 გამათბობელი/ან კიუვეზი + 1 სატუმბოქარი + 1 ინფუზიონატი; ახალშობილთა სპეციალური მოვლის ოთახს უნდა გააჩნდეს მინიმუმ 1 ხელოვნური სუნთქვის აპარატი. ამ პირობის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, პირველ ველში ფიქსირდება უარყოფითი პასუხი (არა=0), ხოლო მომდევნო ველი აღარ ივსება;

ვ) ქალებისთვის განკუთვნილი ინტენსიური (ICU) თერაპიის სერვისის შესახებ ინფორმაციისთვის გათვალისწინებულია 2 ვარიანტი: ინტენსიური თერაპიის განყოფილება/ოთახი ქალებისთვის (ICU), რომელიც ემსახურება მხოლოდ სამეანო-გინეკოლოგიურ განყოფილებას და ინტენსიური თერაპიის განყოფილება/ოთახი ქალებისთვის (ICU), რომელიც საერთოა სტაციონარის სხვა განყოფილებებთან. პირველი ვარიანტის არსებობისას ფიქსირდება დადებითი პასუხი (კი=1) და შემდეგ ველში მიეთითება საწოლების შესაბამისი რაოდენობა ციფრებით (ამასთან 1 საწოლი = 1 ჟანგბადის წყარო + 1 მონიტორი), ხოლო მეორე ვარიანტის შესაბამისი ველები აღარ ივსება. სამეანო-გინეკოლოგიური განყოფილებისთვის დამოუკიდებელი ინტენსიური თერაპიის სერვისის არარსებობის შემთხვევაში, მომდევნო ველში - „ინტენსიური თერაპიის განყოფილება/ოთახი ქალებისთვის (ICU), რომელიც საერთოა სტაციონარის სხვა განყოფილებებთან“ ფიქსირდება შესაბამისი პასუხი („კი“, ან „არა“ პრინციპით), ხოლო დადებითი პასუხის შემთხვევაში, შემდეგ ველში მიეთითება შესაბამისი საწოლების რაოდენობა. გასათვალისწინებელია პირობა - „1 საწოლი = 1 ჟანგბადის წყარო + 1 მონიტორი“, აღნიშნულის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში ეს ველები არ ივსება;

ზ) რენიმაციული (კრიტიკული მოვლის) განყოფილება / ოთახის (CCU) შესაბამის ველში ფიქსირდება ინფორმაცია ასეთი სერვისების არსებობის შესახებ „კი“/„არა“ პასუხის პრინციპით, ხოლო დადებითი პასუხის შემთხვევაში შემდეგ ველში მიეთითება შესაბამისი საწოლების რაოდენობა;

თ) ორსულთა პათოლოგიის გაყოფილება/ოთახის შესაბამის ველში ფიქსირდება ინფორმაცია ასეთი სერვისების არსებობის შესახებ „კი“/„არა“ პასუხის პრინციპით. დადებითი პასუხის შემთხვევაში, შემდეგ ველში მიეთითება შესაბამისი საწოლების რაოდენობა;

ი) „ქალთა კონსულტაციის“ შესაბამის ველში დადებითი პასუხი (კი=1) მიეთითება ორსულთა ანტენატალური მოვლის სერვისის არსებობის შემთხვევაში; შევსების მომენტისათვის საანგარიშო წლის განმავლობაში აღრიცხვაზე აყვანილ ქალთა რაოდენობა კი მიეთითება შემდეგ ველში ციფრებით. ქალთა კონსულტაციები (ამბულატორიული ანტენატალური/პერინატალური სერვისის მიმწოდებლები), რომლებიც ინტეგრირებულნი არ არიან სტაციონარული პერინატალური სერვისის მიმწოდებელ დაწესებულებებთან, ავსებენ აღნიშნული დანართის მხოლოდ შესაბამის ველებს.

5. „ზოგადი მაჩვენებლების“ ბლოკის მონაცემები წარმოადგენს პერინატალური სერვისის ხარისხის ინდიკატორებს. ამ ბლოკში მაჩვენებლების უმრავლესობა უნდა დაფიქსირდეს ორი სრული წლის მონაცემების მიხედვით („რაოდენობა შევსების თარიღის წინა საანგარიშო წლის მონაცემებით“ და „რაოდენობა შევსების თარიღამდე 2 საანგარიშო წლის წინა მონაცემებით“ ანუ თუ საპასპორტო მონაცემები ივსება 2014 წლის ნოემბერში, ველში, სადაც მაჩვენებელი უნდა დაფიქსირდეს „შევსების თარიღის წინა საანგარიშო წლის მონაცემებით“ - ფიქსირდება მაჩვენებელი 2013 წლის 1 იანვრიდან 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, ხოლო ველში, სადაც მაჩვენებელი უნდა დაფიქსირდეს „შევსების თარიღამდე 2 საანგარიშო წლის წინა მონაცემებით“ - ფიქსირდება მაჩვენებელი 2012 წლის 1 იანვრიდან 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით). თუ დაწესებულება ფუნქციონირებს საპასპორტო მონაცემების პირველადად შევსების წლიდან, „განმარტების“ სვეტში მიეთითება დაწესებულების გახსნის თარიღი, ხოლო „დაწესებულების მონაცემში“ ჩაიწერება

მაჩვენებელი გახსნის თარიღიდან საპასპორტო მონაცემების შევსების თარიღამდე. იმ შემთხვევაში, როცა დაწესებულების ფუნქციონირების დაწყებიდან გასულია 2 წელზე ნაკლები დრო, მიეთითება მხოლოდ „შევსების თარიღის წინა საანგარიშო წლის მონაცემები“ და არ ივსება „2 საანგარიშო წლის წინა მონაცემების“ შესაბამისი ველი. ამასთან:

ა) მშობიარობათა რაოდენობის შესახებ მონაცემები მიეთითება ციფრებით;

ბ) საკეისრო კვეთების რაოდენობის მონაცემები მიეთითება ციფრებით და პროცენტულად, არსებული ველების შესაბამისად;

გ) ველებში - „საკეისრო კვეთის განხორციელების შესაძლებლობა გადაწყვეტილების მიღებიდან 30 წუთის განმავლობაში“, „24-სთ-იანი ხელმისაწვდომობა სისხლის ბანკზე, სისხლის ყველა კომპონენტზე“ ინფორმაცია ფიქსირდება „კი“ ან „არა“ პასუხის პრინციპით; ამასთან, სისხლის ბანკის შესახებ ინფორმაცია ზუსტდება იმის მიხედვით, აღნიშნული სერვისი უზრუნველყოფილია კლინიკაში არსებული (საკუთარი) სისხლის ბანკით (საწარმოო ტრანსფუზიოლოგიური სერვისით) თუ ხელშეკრულებით;

დ) ველში, რომლებიც მოიცავს ინფორმაციას სისხლის პროდუქტებით უზრუნველსაყოფად საჭირო მინიმალური დროის შესახებ, მიეთითება შესაბამისი დრო, წუთებში;

ე) ველში - „ხელმისაწვდომობა რეფერალურ სატრანსპორტო საშუალებებზე“ მიეთითება სამი შესაძლო პასუხიდან („საკუთარი“, „ხელშეკრულებით“ ან „პროგრამული მომსახურება“) პრინციპით;

ვ) დედის რეფერალის შესახებ ინფორმაცია მიეთითება შესაბამის ველებში, ციფრებით და პროცენტულად;

ზ) ახალშობილთა რეფერალის შესახებ ინფორმაცია მიეთითება შესაბამის ველებში, ციფრებით და პროცენტულად;

თ) დედათა სიკვდილიანობის, ადრეული ნეონატალური სიკვდილიანობისა და მკვდრადშობადობის შემთხვევათა რაოდენობის შესახებ მონაცემები, როგორც „შევსების თარიღის წინა საანგარიშო წლის მონაცემებით“, ასევე, „შევსების თარიღამდე 2 საანგარიშო წლის წინა მონაცემებით“ - მიეთითება ციფრებით.

6. „ადამიანური რესურსების“ ბლოკში ივსება ინფორმაცია დაწესებულების ჯანმრთელობის დაცვის პერსონალის შესახებ (ექიმ-სპეციალისტები, ექთნები, ბებიაქალები) შემდეგი პრინციპით:

ა) ჯანმრთელობის დაცვის პერსონალის - ექიმების: მეან-გინეკოლოგების, ნეონატოლოგების, ანესთეზიოლოგ-რეანიმატოლოგების, ასევე, ქალთა კონსულტაციის ექიმებისა და ბებიაქალებისა და ექთნების საერთო რაოდენობა ფიქსირდება შესაბამის ველებში ციფრებით;

ბ) კლინიკაში (ადგილზე) მორიგე მეან-გინეკოლოგების, ნეონატოლოგებისა და ანესთეზიოლოგ-რეანიმატოლოგების 24 საათიანი ხელმისაწვდომობის (24/7) უზრუნველყოფის შესაბამის ველებში ფიქსირდება პასუხი „კი“ ან „არა“ პრინციპით, იმისდა მიხედვით, არსებობს თუ არა ასეთი ხელმისაწვდომობა;

გ) ინფორმაცია ჯამური, შტატში არსებული და ხელშეკრულებით მომუშავე ექიმ-სპეციალისტების რაოდენობის შესახებ მიეთითება ციფრებით;

დ) ერთი (დამის) მორიგეობის განმავლობაში კლინიკაში (ადგილზე) მყოფი ბებიაქალების, სამეანო და ნეონატალური ექთნების რაოდენობა ფიქსირდება შესაბამის ველებში ციფრებით;

ე) ჰისტერექტომიის და სხვა სამეანო გარსულებების ოპერაციული მართვის გამოცდილების მქონე მეან-გინეკოლოგების საერთო რაოდენობა მიეთითება ციფრებით, ხოლო ასეთი ექიმების 24/7



ხელმისაწვდომობა კლინიკაში (ადგილზე) მორიგეობით ფიქსირდება „კი“/„არა“ პასუხის პრინციპით;

ვ) „სხვა“ სპეციალისტების შესაბამის ველში ფიქსირდება ინფორმაცია სხვა ექიმი-სპეციალისტების შესახებ სათანადო რაოდენობების მითითებით.

7. „მშობიარე ქალების მოვლისთვის განკუთვნილი აღჭურვილობის“, „სარეანიმაციო აღჭურვილობა დედებისათვის“ და „ახალშობილის მოვლისთვის განკუთვნილი აღჭურვილობის“ ბლოკები მოიცავს ინფორმაციას შესაბამისი აღჭურვილობების რაოდენობის შესახებ და მიეთითება ციფრებით.

8. „დიაგნოსტიკური გამოსახვითი საშუალებების“ ბლოკში ფიქსირდება ინფორმაცია სამეანო ულტრაბგერის, ნეიროსონოსკოპის, რენტგენოდიაგნოსტიკის, კომპიუტერული ტომოგრაფიული სერვისისა და ახალშობილის ექოკარდიოგრაფიული სერვისის მიწოდების შესახებ, ამასთან:

ა) სამეანო ულტრაბგერის აპარატის, ახალშობილთა რენტგენოდიაგნოსტიკისა და ნეიროსონოსკოპის სერვისის უზრუნველყოფის შესაბამისი ინფორმაციისთვის განკუთვნილია სამ-სამი ველი - პასუხების სამი შესაძლო ვარიანტით. კერძოდ: სერვისის უზრუნველყოფა ხდება საკუთარი პორტატული აპარატით, სტაციონარული აპარატით თუ ხელშეკრულებით/გამოძახებით. ამ ველების შესაბამისი ინფორმაცია ფიქსირდება „კი“ ან „არა“ პასუხის პრინციპით;

ბ) კომპიუტერული ტომოგრაფიული და ახალშობილთა ექოკარდიოგრაფიის შესაბამის ველებში ფიქსირდება პასუხი „კი“ ან „არა“ პრინციპით, სერვისის ადგილზე ან ხელშეკრულებით უზრუნველყოფის შესაბამისად; ასეთი სერვისის არარსებობის შემთხვევაში არ ივსება არც ერთი ველი.

9. „ლაბორატორიული სერვისების“ შესაბამის ბლოკში სერვისის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით ინფორმაცია ფიქსირდება „კი“ ან „არა“ პასუხის პრინციპით. ამასთან:

ა) ლაბორატორიული სერვისის 24 საათიანი (24/7) უზრუნველყოფის შესახებ ინფორმაცია კონკრეტდება შესაბამის ველებში, იმისდა მიხედვით, აღნიშნული მიიღწევა კლინიკაში საკუთარი ლაბორატორიის არსებობით, თუ სხვა ლაბორატორიასთან გაფორმებული ხელშეკრულებით;


ბ) ლაბორატორიული კვლევების/ტესტების შესახებ ინფორმაცია მოიცავს ცალკეული ანალიზის/ტესტის პასუხის მისაღებად საჭირო მინიმალურ დროს (რომელიც აითვლება გადაწყვეტილების მიღებიდან პასუხის მიღებამდე) და მიეთითება საათებში (მაგალითად, 15 წთ-ის შემთხვევაში - 0,25 სთ, 30 წთ-ის შემთხვევაში - 0,5 სთ და ა.შ.).“.

4. ბრძანებას დაემატოს დანართი 1.2 „პერინატალური სერვისების მიმწოდებელი დაწესებულების საპასპორტო მონაცემები“ თანდართული რედაქციით.

## მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს შრომის,  
ჯანმრთელობისა და სოციალური  
დაცვის მინისტრი



დავით სერგენკო

| პერიანტალური სერვისების მიმწოდებელი დაწესებულების საპასპორტო მონაცემები |                                           |                                                                                                                                                        |
|-------------------------------------------------------------------------|-------------------------------------------|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
|                                                                         | დაწესებულების მონაცემები                  | გამმარტება                                                                                                                                             |
| საიდენტიფიკაციო კოდი                                                    | დაწესებულების საიდენტიფიკაციო ინფორმაცია: | ეთითება ციფრებით დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი                                                                                                    |
| დაწესებულების დასახელება                                                |                                           | ეთითება ტექსტურად დაწესებულების სრული დასახელება                                                                                                       |
| დაწესებულების სტატუსი                                                   |                                           | „ფუნქციონირებს“... მუდმივად შეწყვეტილია“ ან „დროებით ფუნქციონირებს“ =1<br>„ფუნქციონირებს“ =1<br>.. მუდმივად შეწყვეტილია“ =2 „დროებით ფუნქციონირებს“ =3 |
| საწესდროო მოწოდების ნომერი                                              |                                           | ეთითება ციფრებით და ტექსტურად (იწერება როგორც სიმბოლოები, ასევე ციფრები)                                                                               |
| შეტუთმობის საშუალო-გენერაციული სერვისის განხორციელების შესახებ          |                                           | ეთითება ტექსტურად კიპ=1, არა=0 (კი - დამოუკიდებელი ერთეული, არა - ქსელის წევრი)                                                                        |
| დამოუკიდებელი ერთეული, თუ ქსელის წევრი                                  |                                           | კიპ=1, არა=0 (კი - დამოუკიდებელი სამშობიარო სახლი, არა - მულტპროფილური დაწესებულების (საწლილი)                                                         |
| სახელმწიფო თუ კერძო                                                     |                                           | კიპ=1, არა=0 (კი - სახელმწიფო, არა - კერძო)                                                                                                            |
| პერიანტალური სერვისის მიმწოდების დაწყების თარიღი                        |                                           | ეთითება ციფრები შემდეგი თანამიმდევრობით (რიცხვი/თვე/წელი - 00/00/0000)                                                                                 |
| დაწესებულების ხელმძღვანელი/დასუბისმცემელი პირის სახელი, გვარი           |                                           | ეთითება ტექსტურად                                                                                                                                      |
| დაწესებულების ხელმძღვანელი/დასუბისმცემელი პირის პირადი ნომერი           |                                           | ეთითება ციფრებით                                                                                                                                       |
| დაწესებულების ხელმძღვანელი/დასუბისმცემელი პირის საკონტაქტო ინფორმაცია   |                                           | ეთითება ტექსტურად (ტელეფონი, ელექტრონული ფოსტა)                                                                                                        |
| დაწესებულების მოქმედი ელექტრონული ფოსტა                                 |                                           | ეთითება ტექსტურად                                                                                                                                      |
| დაწესებულების ტელეფონი (ადმინისტრაცია)                                  |                                           | ეთითება ციფრებით                                                                                                                                       |
| დაწესებულების ტელეფონი (მომხმედები)                                     |                                           | ეთითება ციფრებით                                                                                                                                       |
| უპეტობროვი მისამართი:                                                   |                                           |                                                                                                                                                        |
| რეგიონი                                                                 |                                           | ეთითება ციფრებით კოდი რიგული წინასწარ გამსაზღვრულია სამონიტორის მერ                                                                                    |
| მუნიციპალიტეტი                                                          |                                           |                                                                                                                                                        |
| დასახლებული პუნქტი                                                      |                                           | ეთითება ტექსტურად                                                                                                                                      |
| მისამართი                                                               |                                           | ეთითება ტექსტურად                                                                                                                                      |
| ოფრადიული მისამართი:                                                    |                                           |                                                                                                                                                        |

|                                                                                                                                                         |  |  |                   |
|---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|--|--|-------------------|
| რეგიონი                                                                                                                                                 |  |  | ეთითება ტექსტურად |
| მისამართი                                                                                                                                               |  |  | ეთითება ტექსტურად |
| ინფრასტრუქტურა                                                                                                                                          |  |  |                   |
| სამშენო საწარმოების რაოდენობა                                                                                                                           |  |  | ეთითება ციფრებით  |
| განკუთხდილი საწარმოების საერთო რაოდენობა                                                                                                                |  |  | ეთითება ციფრებით  |
| ინდუსტრიული საწარმოების რაოდენობა / ოჯახზე ინტენსიური საწარმოები                                                                                        |  |  | კი=1, არა=0       |
| ინდუსტრიული საწარმოების რაოდენობა / ოჯახზე ინტენსიური საწარმოები                                                                                        |  |  | ეთითება ციფრებით  |
| სამშენო განყოფილებაში საბუნების ბლოკი                                                                                                                   |  |  | კი=1, არა=0       |
| სამშენო-განყოფილებაში საბუნების ბლოკი                                                                                                                   |  |  | კი=1, არა=0       |
| მრეწველობითი სტრუქტურაში საბუნების ბლოკი                                                                                                                |  |  | კი=1, არა=0       |
| ახალშენილი რეზიდენციული განყოფილება (NICU)                                                                                                              |  |  | კი=1, არა=0       |
| ახალშენილი რეზიდენციული განყოფილებაში (NICU) კონკრეტული მოვლის საწარმოს რაოდენობა                                                                       |  |  | ეთითება ციფრებით  |
| ახალშენილი რეზიდენციული განყოფილებაში (NICU) შუალედური (ეწ.) ინტენსიური მოვლის საწარმოს რაოდენობა                                                       |  |  | ეთითება ციფრებით  |
| ახალშენილი სპეციალური მოვლის ითხის არსებობა                                                                                                             |  |  | კი=1, არა=0       |
| საწარმოს რაოდენობა ახალშენილი სპეციალური მოვლის ითხში                                                                                                   |  |  | ეთითება ციფრებით  |
| ინტენსიური თერაპიის განყოფილება/ითხი ქალაქისთვის (ICU), რომელიც ექსპანსიონა მხოლოდ სამშენო-განყოფილებაში განყოფილებას                                   |  |  | კი=1, არა=0       |
| საწარმოს რაოდენობა ქალაქისთვის განყოფილებაში ინტენსიური თერაპიის განყოფილება/ითხში (ICU), რომელიც ექსპანსიონა მხოლოდ სამშენო-განყოფილებაში განყოფილებას |  |  | ეთითება ციფრებით  |
| ინტენსიური თერაპიის განყოფილება/ითხი (ICU), საზოგადოებრივი სხვა განყოფილებებში                                                                          |  |  | კი=1, არა=0       |
| საწარმოს რაოდენობა ინტენსიური თერაპიის განყოფილება/ითხში (ICU), რომელიც საზოგადოებრივი სხვა განყოფილებებში                                              |  |  | ეთითება ციფრებით  |
| რეზიდენციული (კონკრეტული მოვლის) განყოფილება / ითხი (CCU)                                                                                               |  |  | კი=1, არა=0       |
| საწარმოს რაოდენობა რეზიდენციული (კონკრეტული მოვლის) განყოფილება / ითხში (CCU)                                                                           |  |  | ეთითება ციფრებით  |
| ორსულთა მათილოგის განყოფილება / ითხი                                                                                                                    |  |  | კი=1, არა=0       |
| საწარმოს რაოდენობა ორსულთა მათილოგის განყოფილებაში / ითხში                                                                                              |  |  | ეთითება ციფრებით  |
| ქალთა კონსულტაცია                                                                                                                                       |  |  | კი=1, არა=0       |
| ამჟამად აღრიცხვაზე აკანაილ ქალთა რაოდენობა                                                                                                              |  |  | ეთითება ციფრებით  |
| ზოგადი მტკიცებულებები                                                                                                                                   |  |  |                   |

|                                                                                                                              |  |                                                                                                                            |
|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|--|----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| მშობიარობათა რაოდენობა შუესების თარიღის წინა საანგარიშო წლის მონაცემებით                                                     |  | ეთითება ციფრებით                                                                                                           |
| მშობიარობათა რაოდენობა შუესების თარიღამდე 2 საანგარიშო წლის წინა მონაცემებით                                                 |  | ეთითება ციფრებით                                                                                                           |
| საკუთარი კვების რაოდენობა ციფრებში შუესების თარიღის წინა საანგარიშო წლის მონაცემებით                                         |  | ეთითება ციფრებით                                                                                                           |
| საკუთარი კვების რაოდენობა ციფრებში შუესების თარიღამდე 2 საანგარიშო წლის წინა მონაცემებით                                     |  | ეთითება ციფრებით                                                                                                           |
| საკუთარი კვების რაოდენებული მანერები მშობიარობების საერთო რაოდენობიდან შუესების თარიღამდე 2 საანგარიშო წლის მონაცემებით      |  | ეთითება ციფრებით                                                                                                           |
| საკუთარი კვების რაოდენებული მანერები მშობიარობების საერთო რაოდენობიდან შუესების თარიღამდე 2 საანგარიშო წლის წინა მონაცემებით |  | ეთითება ციფრებით                                                                                                           |
| საკუთარი კვების განხორციელების შესაძლებლობა გადაწყვეტილების მიღებიდან 30 წუთის განმავლობაში                                  |  | კი=1, არა=0                                                                                                                |
| 24-სთ-იანი ხელმისაწვდომობა სისხლის ბანკზე, სისხლის ყველა კომპონენტზე                                                         |  | კი=1, არა=0                                                                                                                |
| საკუთარი სისხლის ბანკის (საწარმოო ტრანსფუზიოლოგიური) სამსახურის არსებობა                                                     |  | კი=1, არა=0                                                                                                                |
| სისხლის ბანკზე, სისხლის ყველა კომპონენტზე ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია სისხლის ბანკთან ხელშეკრულებით                      |  | კი=1, არა=0                                                                                                                |
| მინიმალური დრო, რომელიც საჭიროა სისხლის პროდუქტებით უზრუნველსაყოფად                                                          |  | ეთითება დრო წუთებში ციფრებით                                                                                               |
| ხელმისაწვდომობა რეფერალურ სტრანსპორტო საშუალებებზე                                                                           |  | „საკუთარი“, „ხელშეკრულებით“<br>„პროგრამული მომსახურება“<br>„საკუთარი“=1<br>„ხელშეკრულებით“=2<br>„პროგრამული მომსახურება“=3 |
| დედის რეფერალის რაოდენობა შუესების თარიღის წინა საანგარიშო წლის მონაცემებით                                                  |  | ეთითება ციფრებით                                                                                                           |
| დედის რეფერალის რაოდენობა შუესების თარიღამდე 2 საანგარიშო წლის წინა მონაცემებით                                              |  | ეთითება ციფრებით                                                                                                           |
| დედის რეფერალის რაოდენობა პროდუქტულად შუესების თარიღის წინა საანგარიშო წლის მონაცემებით                                      |  | ეთითება ციფრებით                                                                                                           |
| დედის რეფერალის რაოდენობა პროდუქტულად შუესების თარიღამდე 2 საანგარიშო წლის წინა მონაცემებით                                  |  | ეთითება ციფრებით                                                                                                           |
| ახალშობილთა რეფერალის რაოდენობა შუესების თარიღის წინა საანგარიშო წლის მონაცემებით                                            |  | ეთითება ციფრებით                                                                                                           |



|                                                                                                                                                                     |  |                  |
|---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|--|------------------|
| ახალშობილთა რეფერალის რაოდენობა შევსების თარიღამდე 2 საანგარიშო წლის წინა მონაცემებით                                                                               |  | ეთითება ციფრებით |
| ახალშობილთა რეფერალის რაოდენობა პრივენტულად შევსების თარიღის წინა საანგარიშო წლის მონაცემებით                                                                       |  | ეთითება ციფრებით |
| ახალშობილთა რეფერალის რაოდენობა პრივენტულად შევსების თარიღამდე 2 საანგარიშო წლის წინა მონაცემებით                                                                   |  | ეთითება ციფრებით |
| დედათა სიკვდილიანობის რაოდენობა შევსების თარიღის წინა საანგარიშო წლის მონაცემებით                                                                                   |  | ეთითება ციფრებით |
| დედათა სიკვდილიანობის რაოდენობა შევსების თარიღამდე 2 საანგარიშო წლის წინა მონაცემებით                                                                               |  | ეთითება ციფრებით |
| ადრეული ნეონატალური სიკვდილიანობის რაოდენობა შევსების თარიღის წინა საანგარიშო წლის მონაცემებით                                                                      |  | ეთითება ციფრებით |
| ადრეული ნეონატალური სიკვდილიანობის რაოდენობა შევსების თარიღამდე 2 საანგარიშო წლის წინა მონაცემებით                                                                  |  | ეთითება ციფრებით |
| მკვდრადშობილების რაოდენობა შევსების თარიღის წინა საანგარიშო წლის მონაცემებით                                                                                        |  | ეთითება ციფრებით |
| მკვდრადშობილების რაოდენობა შევსების თარიღამდე 2 საანგარიშო წლის წინა მონაცემებით                                                                                    |  | ეთითება ციფრებით |
| ადამიანური რესურსი:                                                                                                                                                 |  |                  |
| სერტიფიცირებული მეან-გინეკოლოგების საერთო რაოდენობა                                                                                                                 |  | ეთითება ციფრებით |
| დაქვსებულთა უზრუნველყოფილია მეან-გინეკოლოგების 24 /7 ხელმისაწვდომობა კლინიკაში (აღვიღებზე) მორიგებით                                                                |  | კი=1, არა=0      |
| სერტიფიცირებული მეან-გინეკოლოგების რაოდენობა, რომელთაც აქტი პოსტერტეტობის და სხვა სამუშაო გართულებების ოპერაციული მართვის გამოცდილება                               |  | ეთითება ციფრებით |
